ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა

და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლებისN65 29 ოქტომბერი 2019 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე, ამირან ტალახაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ***- მიხეილ სვანაძე.***

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის მიმდინარე წლის 9 თვის ანგარიშის განხილვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: მიხეილ სვანაძე

2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები დიალიზის პანციენტთა ერთობლივი განცხადების განხილვის შესახებ.

მომხს: რამაზ არველაძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა 9 თვის ანგარიში .

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივი შესრულება 2019 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით 1405 ბენეფიციარზე გახარჯული თანხა შეადგენს 544463.17 ლარს.

თითქმის ყველა პროგრამაზე თანხა ასახულია მოთხოვნათა შესაბამისად, გარდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პრორამისი, რომელიც შეადგენს 1000 ლარს. აღნიშნულ პროგრამაზე ჯერჯერობით განცხადება არ შემოსული.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დანართიN2

გადაწყვიტეს:
კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

მოისმინეს :
დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტში მცხოვრები დიალიზის პანციენტთა ერთობლივი განცხადება, რომლებიც თხოვნით მოგვმართავენ დახმარებას თანხის მომატებით. განცხადებაში ასახულია ის პრობლემები, რომელსაც ისინი ითხოვენ. კერძოდ;
გაიზარდა საწვავი ფასი, კვირაში 3 ჯერ გვიწევს ქუთაისში ჩასვლა-ჩამოსვლა, ასევე ჩვენ ვერ ვსარგებლობთ საპენსიო შეღავათით წამლის შეძენისას. დიალიზთა პროგრამით ვსარგებლობთ 18 ადამიანი.
კომისიამ განიხილა წარმოდგენი განცხადება და მიიღეს გადაწყვეტილება რომ, თუ რომელიმე პროგრამიდან დანხა დარჩა აუთვისებელი გადავითანს დილეზთა პროგრამაში. სხვაგვარად ამ წელში არ მოხერხდება თანხის გაზრდა რადგან უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის შეცვლა შეუძლებელია . მომდევნო თვის ბიუჯეტში ვიმსჯელებს შესაბამის სამსახურთან ერთად აღნიშნული განცხადების შესახებ და მოვახდენთ რეაგირებას.

გადაწყვიტეს:
კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განცხადება .

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე